

საგადასახადო აღრიცხვის დაახლოება ფინანსურ აღრიცხვასთან და მისი  
გავლენა ბიზნესზე

ელგუჯა ცინცაძე  
გიორგი ცაგარეიშვილი  
გიორგი ბალესიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის  
სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ფინანსები და საბანკო საქმის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნეს ადმინისტრირება,  
ფინანსები და საბანკო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე კუჭავა, ეკონომიკის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

## აბსტრაქტი

საწარმოებმა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა წარმართონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მოთხოვნების შესაბამისად. ამავდროულად აუცილებელია გადასახადების სამართლიანი ადმინისტრირების მიზნით მოახდინონ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების დაკმაყოფილება. აქედან გამომდინარე უწევთ ორი სახის მეთოდით აღრიცხვა: ფინანსური და საგადასახადო. 2017 წლიდან ამოქმედდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რის შედეგადაც ზემოთ ხსენებული სააღრიცხვო მეთოდები მეტწილად დაუახლოვდა ერთმანეთს.

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ის ცვლილებები, რომლითაც მოხდა სხვადასხვა მეთოდებს შორის განსხვავებების აღმოფხვრა. ეს განსხვავებები მოიცავს როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების აღიარების დროსა და სპეციფიკას. ნაშრომში შეფასებულია: გამოუქვითავი ხარჯების ცნების ამოღება, გადავადებული მოგების გადასახადის გაუქმება, ცვეთის აღიარებისა და დარიცხვის მეთოდში ცვლილება, საკასო მეთოდში შეტანილი ცვლილებები. საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის მეთოდების დაახლოებით მიღებული გავლენა ბიზნესზე, დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძველია საკვლევი თემის გარშემო არსებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სტატიები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული კანონები და გადაწყვეტილებები, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ორგანოების მიერ დამტკიცებული სტანდარტები და დებულებები.

აღნიშნული დარგი განუწყვეტლივ საჭიროებს დახვეწასა და განვითარებას. ნაშრომში წარმოჩენილი იქნება ხარვეზები, რომლის მიმართულებითაც კანონმდებლებს მოუწევთ მუშაობა და დარეგულირება. აგრეთვე ცვლილებებისა და სიახლეების

გავლენის განხილვა ბიზნეს საქმიანობაზე, გაცემულ იქნება რეკომენდაციები და პრობლემატიკის გადაჭრის გზები.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** მოგების გადასახადი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ესტონური მოდელი, გადასახადის გადამხდელი, რეფორმა, გამოწვევები, დაბეგვრა, ცვლილების კანონპროექტი, შედეგი, კომპანია, დივიდენდი.

## **Abstract**

The enterprises should carry out accounting policies in accordance with the requirements of the International Financial Reporting Standards (IFRS) during reporting period. At the same time, tax law is to meet the requirements of the tax code for administration purposes. Therefore, they used to calculate two types of accounting methods: Financial and tax. Since 2017, the new model of profit tax has been launched, resulting in which the above-mentioned accounting methods are largely close to each other. The study refers to the legislative initiative about the transition of tax system to the Estonian model, which is based on so-called "Distributed Profit Tax".

The paper also sets out Georgian characteristics of the Estonian model and analyzes the expected results of the reform, including positive as well as negative effects.

The study uses expert estimations and recommendations about the impact of the reform as well as statistics and research publications for the analysis. It compares current situation in Georgia is with pre-reform period of Estonia, thoroughly analyzing Estonian experience and its practical results in relation to the current situation in Georgia.

Mentioned field requires continuous improvement and development. The study will contain the shortcomings in which the legislators will have to work and regulate.

The purpose of the study is to evaluate and estimate the expected results of the income tax legislation change and all possible scenarios of its development, in order to outline the possible avoidance of negative results caused by legislative changes. Along with that, to define the pros and cons of the reform with the view of raising the speed of country's economic growth.

**Basic key search words:** corporate income tax, tax code of Georgia, the Estonian model, the taxpayer, reform, challenges, taxation, draft amendments, result, company, dividend.